პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

20 ივნისი — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო — № 9 ფასი 50 კაპ.



## პროლეტარული ხელოვნების ფუძემდებელი

გარდაიცვალა ა. გორკი — ჩვენი ეპოქის დიდი მწერალი, გენიალური პროლეტარული მხატვარი, მუშათა კლასის საქმისათვის მგზნებარე მებრძოლი.

ჩვენი სამშობლოს მშრომელმა მასებმა, მთელი მსოფლიოს რევოლუციურმა პროლეტარიატმა მისი სახით დაჰკარგეს სოციალისტური კულტურის ნამდვილი მედროშე, მშრომელი კაცობრიობის უკეთილშობილესი იდეებისა და მისწრაფებათა ძლიერი გამომხატველი.

გორკი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების პირველ დღეებიდანვე მჭიდროდ დაუკავშირდა მუშათა კლასისა და მისი მებრძოლი ავანგარდის რევოლუციურ ბრძოლას.

მაქსიმ გორკიმ შეჰქმნა მხატვრული ოსტატობის უკვდავი სახეები, რომლებიც ულმობლად ამჟღავნებდნენ ძველი მსოფლიოს მთელს სისაძაგლეს და განწირულებას, გვიხატავდნენ ხალხთა განთავისუფლებისათვის მებრძოლთა მკაფიო სახეებს, მასების შეგნებაში ნერგავდნენ სოციალისტური მომავლის ურყევ რწმენას მგზნებარე მისწრაფებას ძისდამი და მილიონობით ადამიანთა გულში ანთებდნენ საბრძოლო ენთუზიაზმს.

დიდი სოციალური ძვრების „გრიგალამ", მან რევოლუციური მწერლის ძლიერი ხმით ქებათაქება შეასხა თავისუფლებისაკენ მისწრაფების სიმამაცეს, თავდადებას, კეთილშობილურ გმირობას. იგი ჰქმნიდა რევოლუციური რომანტიკის ასეთსავე მაღალ მხატვრულ ნიმუშებს, რომლებიც არასოდეს არ დაჰკარგავენ თავის უდიდეს მნიშვნელობას მსოფლიო რევოლუციურ ლიტერატურაში.

მან თავისი შესანიშნავი მოთხრობებითა და რომანებით არა თუ გაამდიდრა რუსეთისა და მსოფლიო ლიტერატურა ახალი, მანამდე უცნობი სახეებით, პერსონაჟებით, თემებით, არამედ დასაბამი მისცა ლიტერატურული განვითარების ახალ ეტაპს, რომლის ძირითადი სპეციფიკური თვისებები მთელი თავისი სიზუსტით ფორმულირებულია დიდი სტალინის მიერ სოციალისტური რეალიზმის ცნებად.

ცხოვრების ორგანული ცოდნა, სოციალურ მოვლინათა ნამდვილ დედაარსში ჩაწვდომა, ღრმა იდეური დამოკიდებულება თემატიკური მასალისადმი და სინამდვილის სწორი განსახიერება წარმოადგენს ამ უდიდესი ნიჭის ძირითად თვისებას.

როგორც ნამდვილი პროლეტარული მხატვარი, იგი თანმიმდევრულად ეუფლებოდა მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის ყველა საუკეთესო საგანძურს და იარაღდებოდა მსოფლიო პროლეტარიატის დიდ მასწავლებელთა რევოლუციური იდეებით.

მ. გორკი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში შევიდა, როგორც პროლეტარული ხელოვნების ფუძემდებელი და კლასიკოსი, რომლის ნაწარმოებებზე მუდამ აღიზრდებიან სოციალისტური კულტურის ახალი რაზმები.

მრავალფეროვან და უმდიდრეს შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად მ. გორკი უდიდეს პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდა კულტურული რევოლუციის ფრონტზე. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი დარჩა საბჭოთა ლიტერატურული მოძრაობის ორგანიზატორად და ხელმძღვანელად. იგი მეთაურობდა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობას, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა მსოფლიო რევოლუციური ლიტერატურის ისტორიაში. იგი დაუშრეტელი ენერგიით და უჩვეულო მზრუნველობით ზრდიდა საბჭოთა ლიტერატურის ახალ კადრებს. იგი სულისჩამდგმელი და ინიციატორი იყო მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი წამოწყებებისა სოციალისტური კულტურის დარგში.

თავისი უდიდესი მორალური და მხატვრული ავტორიტეტით მ. გორკი ხელს უწყობდა კაპიტალისტური ქვეყნების მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა გადასვლას მუშათა კლასის პოზიციებზე და რევოლუციური ლიტერატურის მთელ ძალებს აერთიანებდა ლენინ-სტალინის უძლეველი დროშის გარშემო.

შეურიგებელი პროლეტარული პუბლიცისტის ბასრი კალმით, იგი ულმობლად, ანადგურებდა მუშათა კლასის მტრებს და რაზმავდა მასების შეგნებას სოციალიზმის დიადი სამშობლოს დასაცავად.

მ. გორკის გარდაცვალება — უდიდესი, აუნაზღაურებელი დანაკლისია.

მისი საქმისა და შემოქმედების ხსოვნა ყოველთვის დარჩება მთელი მსოფლიოს მშრომელთა უფართოესი მასების მეხსიერებაში.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანას მუდამ მტკიცედ ეხსომება ლენინის სიტყვები: „უეჭველია, გორკი — უდიდესი მხატვრული ნიჭია, რომელმაც მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობას ბევრი სარგებლობა მოუტანა და მოუტანს".

აკაკი თათარიშვილი.

## მებრძოლი და ჰუმანისტი

ჩვენ დავკარგეთ საბჭოთა მწერლობის მეთაური და ხელმძღვანელი. არ დარჩენილა არც ერთი მწერალი, რომელსაც არ განეცადოს მაქსიმ გორკის ლიტერატურული და მორალური გავლენა; მან გამოზარდა მთელი თაობა პროლეტარული და საბჭოთა მწერლებისა. ის იყო უდიდესი მწერალი პროლეტარიატის და სიყვარული გორკისადმი გვიანდერძა ჩვენ დიდმა ლენინმა. მისი შემოქმედება და ბიოგრაფია წარმოადგენს აღმავალი კლასის—პროლეტარიატის ბრძოლისა და გამარჯვების თვალსაჩინო ილუსტრაციას.

მან მოგვცა „ბოსიაკების", რუსული ბურჟუაზიის და უხერხემლო ინტელიგენციის ტიპები, და იმავე დროს გორკიმ—„გრიგალას" და „შევარდენზე სიმღერის" ავტორმა—შექმნა შესანიშნავი რომანი—„დედა", რომელსაც ჰქონდა მსოფლიო რეზონანსი და რომელშიაც თითქოს ბრინჯაოდან არის ჩამოსხმული, მუშა-რევოლუციონერების ტიპები. გორკი აგრძელებდა უდიდეს რუსი კლასიკოსების—რეალისტების ტრადიციებს და ქმნიდა ტილოებს, რომელშიაც ასახული იყო მთელი თანამედროვე ეპოქა. მაქსიმ გორკი მთელი თავისი სიცოცხლე ებრძოდა ყოველგვარ მეშჩანობას, იგი ებრძოდა უიდეო, პესიმისტური მწერლობის გავლენას, ინდივიდუალიზმსა და ნიცშეანელობას. ის იყო მებრძოლი ოპტიმისტი, ის იყო აპოლოგეტი შრომისა და ცხოვრების სიხარულის.

გორკი იყო დამაარსებელი პროლეტარული მწერლობისა და ხელს უწყობდა მის აყვავებას თავისი მუდმივი მითითებებით. იგი იცავდა ენის სიწმინდეს, სისადავეს, იყო ენტუზიასტი ფოლკლორის შეგროვებისა და შესწავლისა, კოლექტიური შემოქმედების („ქარხნების ისტორია"). მას უსმენდა მსოფლიო პროლეტარიატი და ევროპის მოწინავე ინტელიგენცია. მისი სიკვდილი იშვიათ მწუხარებას და გლოვას გამოიწვევს მთელი ქვეყნის მშრომელთა მასებში. მუშათა კლასმა დაკარგა თავისი საუკეთესო შვილი და მწერალი.

გარდაიცვალა ჩვენი მწერლობის ბელადი, მაგრამ შთაგონებულნი მისი უკვდავი მემკვიდრეობით და მაგალითით, ჩვენ, მისი მოწაფეები, განვაგრძობთ იმ დიდ საქმეს, რომელსაც გორკიმ შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე.

გორკის სახელი იქნება ჩვენი დროშა და ჩვენი ლოზუნგი. ის იქნება ჩვენი მუდმივი მასწავლებელი, როგორც რევოლუციონერი და ჰუმანისტი, როგორც სიტყვის შეუდარებელი ოსტატი და ხელოვანი.

მან დაიდგა ჩვენს გულში ხელთუქმნელი ძეგლი და მის წიგნებზე კიდევ აიზრდება არა ერთი მწერალი და არა ერთი მომავალი თაობა.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

## დიდი მწუხარება

მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი უახლოესი რუსული ლიტერატურის უდიდესი სახელია. ეს სახელი თავს უყრის რუსეთის უკანასკნელი ოთხი ათეული წლის ლიტერატურულ-გონებრივი განვითარების გზებს. მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი განუყრელია მუშათა კლასის მოძრაობასთან, რომელმაც წარმოშვა პირველი უმაგალითო სოციალისტური სახელმწიფო მსოფლიოში.

გარდაიცვალა მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი, პროლეტარიატის ციხე-სიმაგრის დაუღალავი დარაჯი.

მუშათა კლასისა და რევოლუციის გამარჯვების პირველი ჰიმნის მთქმელი და მსოფლიოს გარდამქმნელი ქარიშხალის გაბედული წინასწარმეტყველი.

მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი სრულიად ახალი მოტივია რუსულ ლიტერატურაში, მისი ახალი გზების გამკვლევი, დამნახველი საოცარი სახეებისა და მასალების, რომლებიც საფუძვლად დაედებიან საბჭოთა ლიტერატურის შემდგომ განვითარებას, ამავე დროს მაქსიმ გ ო რ კ ი უშუალო გაგრძელებაა დიდი რუსული კლასიკური ლიტერატურისა, რომლის დროშა ყველაზე უფრო ღირსეულად და ყველაზე უფრო მაღლა ეჭირა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

დიდია მწუხარება, მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი ს გარდაცვალების ცნობით გამოწვეული.

ლეო ქიაჩელი.

## საბჭოთა ლიტერატურის მესაჭე

გორკი აღარ არის...

ნახევარ საუკუნის მანძილზე დაუქანცავი და მოუსვენარი კალამი გაშრა მოულოდნელად.

საბჭოთა კავშირის და მსოფლიო მშრომელების გულისყური ამ ათი დღის განმავლობაში მიპყრობილი იყო ჩვენი დროის უდიდესი მწერლის სიცოცხლისაკენ... გენიალური მხატვარის მაჯისცემის ბიულეტენს გულის ფანცქალით სინჯავდენ მშრომელი მილიონები... მაგრამ ცხრამეტი ივნისის გაზეთები გაითალხა შავი არშიებით...

გორკი აღარ არის...

ის სამუდამოთ გამოეთიშა სოციალიზმის მგზნებარე მშენებელთა რკინისებურ კოლექტივს.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის უკანასკნელ წლებში დაუკავშირა გორკიმ თავისი ბედი დაჩაგრულ, უფლებააყრილ მშრომელ ხალხს, პროლეტარული კლასის ავანგარდს, ბოლშევიკურ პარტიას.

ლენინი არა ერთხელ აღნიშნავს თავის წერილებში, რომ „გორკი უდავოდ უდიდესი წარმომადგენელია **პროლეტარული** (ხაზი ლენინისაა პ. ჩ.) ხელოვნების". დიახ, გორკი იყო უდიდესი პროლეტარული მწერალი, რომელმაც განვლო რევოლუციური ბრძოლის ვრცელი და მძიმე გზა და მასებთან ერთად ზეიმობდა ლენინ-სტალინის დიადი საქმის გამარჯვებას.

განსაკუთრებული სიმწვავით განვიცადე გორკის, საბჭოთა მწერლობის ამ უდიდესი მასწავლებლის, ჩვენი რიგებიდან გამოთიშვა იმ დროს, როცა გამოქვეყნდა სტალინური კონსტიტუცია.

სოციალიზმის ძლევამოსილების ეს ბრწყინვალე დოკუმენტი შრომისა, თავისუფლებისა და თანასწორობის იმ უდიდეს ფდეათა ხარტიაა, რომლებიც ყოველთვის შეადგენდა გორკის შემოქმედების მთავარ შინაარს.

განუზომელია გორკის ლიტერატურული გავლენა როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის ლიტერატურაზე, განსაკუთრებით რევოლუციური ფრთის მწერლობაზე უცხოეთში.

ჩამოთვლაც ძნელია ყველა იმ მსოფლიო მნიშვნელობის წამოწყებათა, რომელთა ინიციატორი და დაუღალავი განმხორციელებელი იყო გორკი: გორკი თავმჯდომარე, გორკი რედაქტორი, გორკი ხელმძღვანელი და იშვიათი მასწავლებელი.

გორკიმ დაგვიტოვა უზარმაზარი ლიტერატურული მემკვიდრეობა. ჩვენი ვალია მთელი სიღრმით ავითვისოთ გენიალური მხატვრის, ღრმა მოაზროვნის, სიტყვის უდიდესი ოსტატის ათეულ წლების მანძილზე შექმნილი მემკვიდრეობა — ეს ძვირფასი საუნჯე უდიდესი პროლეტარული მწერლისა და ჰუმანისტის.

ჩვენ, არასოდეს არ გადავუხვევთ დიდი მასწავლებლის მიერ გაკაფულ გზიდან... გორკის ოსტატობა, მისი რევოლუციურობა, ყოველთვის მისაბაძი იქნება საბჭოთა მწერლისათვის.

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

---

**საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1936 წლის 18 ივნისს სოფ. გორკაში, მოსკოვის მახლობლად, გარდაიცვალა რუსეთის დიდი მწერალი, სიტყვის გენიალური ოსტატი, მშრომელთა თავდადებული მეგობარი, კომუნიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლი ამხანაგი**

**ალექსი მაქსიმეს-ძე**

**გ ო რ კ ი**

**საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი**
**სსრ კავშირის სახ. კომისართა საბჭო**

---

**საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი ულრმესი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საბჭოთა ლიტერატურის ბელადი. ჩვენი ეპოქის უდიდესი მწერალი, მსოფლიოს მშრომელთა უსაყვარლესი ხელოვანი, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული მებრძოლი**

**მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი**

---

## საქართველოს მწერალთა კავშირისაგან

**მოსკოვი, გორკის დამკრძალავ კომისიას, სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირს, „ლიტერატურნაია გაზეტას" რედაქციას.**

საქართველოს საბჭოთა მწერლები უდიდეს ტკივილს განიცდიან იმ აუნაზღაურებელი დანაკლისის გამო, რომელიც ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს მოუვიდა რუსეთის უდიდესი მწერლის, გენიალური პროლეტარული მხატვრის მაქსიმ გორკის გარდაცვალებით.

ალექსი მაქსიმეს-ძე, უსაზღვროდ უყვარდათ მთელი მსოფლიოს მშრომელთ, მას დიდად აფასებდნენ პროლეტარიატის უდიდესი ბელადები ლენინი და სტალინი; კომუნიზმის უძლეველი დროშის ქვეშ რაზმავდა იგი მხატვრული სიტყვის მთელ საუკეთესო ძალებს.

მშრომელთა მგზნებარე, თავდადებული მეგობრის, საბჭოთა ლიტერატურის ბელადისა და ორგანიზატორის ნათელი ხსოვნა მუდამ ჟამს აღანთებს მილიონთა გულს ლენინ-სტალინის დიადი საქმის მთელ მსოფლიოში გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი



**გორკი პროლეტარული ხელოვნების უთუოდ უდიდესი წარმომადგენელია, რომელმაც ბევრი გააკეთა მისთვის და კიდევ მეტის გაკეთება შეუძლია.**

**გორკი-ავტორიტეტია პროლეტარული ხელოვნების საქმეში, ეს უდაოა...**

ლ ე ნ ი ნ ი

# მ ა ქ ს ი მ   გ ო რ კ ი

**გორკი — უზარმაზარი მხატვრული ნიჭია, რომელმაც დიდი სარგებლობა მოუტანა და მოუტანს მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობას.** ლენინი.



ლენინის წერილი გორკისადმი

## გრიგალას სიმღერა

**მაქსიმ გორკი**

ჭაღარა ზღვის მფრთონავ ველზე ქარი ღრუბლებს გრაგნის. ღრუბლებს ქვეშ და ზვირთთა შორის ჰქრის ელვა-გრიგალა.

ხან ფრთას დაჰკრავს ტალღის ქეჩოს, ხან ღრუბლებში ადის, ის რომ ჰკივის, ღრუბელთ ესმის ლაღი სიხარული.

ეს კივილი წყურვილია გიჟურ ქარიშხალის, მძვინვარება და იმედი ჰკრთის ამ ყიჟინაში.

თოლიები შიშით ჰკვნესენ, ცაში ბოჟირობენ და ზღვის ბსკერში მზად არიან შთაინთქან ამ შიშით.

გაგარებიც ხმას აძლევენ, ვერც ისინი გრძნობენ, რა ტკბილია და წარმტაცი ბრძოლა სიცოცხლისა, ელვა-ჭექა გულს უშფოთებს, ქარის ეშინიათ.

მშიშარა და სულელ პინგვინს შიშის ზარი იტანს. ტლანქ ბარბაცით მსუქან ტანსა ის კლდეებში მალავს... მხოლოდ ლაღი ჰქრის გრიგალა გაბედულად ცაში.

სულ ქუფრად და შავად დადის ძირს ღრუბელთა ჯარი. სიმღერით ცას ასკდებიან, ელვას ნთქავენ ზვირთნი.

გრგვინვა ჰქუხს და დორბლიანი ტალღა გრიგალს მისდევს. ჰა დაჰბღუჯა ქარმა ზვირთნი, ბრაზით სტყორცნა კლდეებს,—მტვრად აქცია და წინწკლებად მთად ასული წყალი.

გრიგალა კი წივის, დაჰქრის შავი ელვის დარად, ბოძალივით ღრუბლებს ჰკოდავს, ქაფს სწმენდს ფრთის მოქნევით.

ვით დემონი დაჰქრის ყველგან ამაყი და შავი, ხან იცინის, ხან ქვითინებს:—ეს—ღრუბლებზე ეცინება, სიხარულით სტირის.

მას ამ ხმებში რაც ხანია ესმის დაღლილობა, სწამს და სჯერა რომ ღრუბლები ვერ შთანთქავენ მზესა.

ქარი ღმუის... გრგვინვა კვლავ ჰქუხს...

ცისფერ ალად ანთებულა ცაზე ღრუბელთ ფარა, ზღვა იტაცებს ციდან ელვებს და ტალღებში აქრობს, თითქოს გველთა ხლაკნა იყოს, ისე თრთიან წყალზე.

— გრიგალია!... ჰა საცაა დაჰქუხებს გრიგალი!

ეს თამამი გრიგალია, რომ ჰქრის ელვათ შორის, არად აგდებს ზღვის ამ ღმუილს და გაჰკივის ცაში:

— დაე უფრო დხიჰქოს გრიგალმა და მეხმა!

სთარგმნა: **დემნა შენგელაიამ.**

(1901)

## ო თ ხ ი   შ ე ხ ვ ე დ რ ა

**მიხეილ ჯავახიშვილი**

1897—1901 წლამდის ნიკიტის სამეურნეო სკოლაში ვსწავლობდი. მაშინ იალტაში და მის მიდამოებში შემოდგომობით მრავალი სახელოვანი რუსის მწერალი და მოღვაწე ცხოვრობდა, მოწაფენი ხშირად დავდიოდით ხოლმე იმ არემარეში და საავარაკოდ ჩამოსულნიც ხშირად მოდიოდნენ ჩვენს სკოლაში, რომელსაც ბევრი რამე ჰქონდა საჩვენებელი. იალტაში და მის მიდამოებში ვნახე რამდენჯერმე ლევ ტოლსტოი, ჩეხოვი, კოროლენკო, გორკი და სხ.

მაშინ ჭაბუკი ვიყავი და ამგვარ ხალხთან ახლო მისვლას და საუბარს ვერ გავბედავდი. ჩვენ მაინც ვეძებდით ხოლმე შემთხვევას ახლო გაგვევლო და მათდამი პატივი ულრმეს უსიტყვო სალამში გამოგვესახნა. სალამზე სალამს გვაძლევდნენ.

მე და ჩემი ამხანაგები ორჯელ შევხვდით გორკის იალტაში (1900 ან 1901 წ.) თან გავყევით და კარგად შევათვალიერეთ. ახლაც თვალწინ მიდგა მაშინდელი გორკი. დაახლოვებით 31-32 წლისა იქნებოდა, ძლიერ მაღალი, ხმელხმელი კაცი იყო, წვერი გაპარსული ჰქონდა, მეტად გრძელი პალტო ეცვა, ფეტრის განიერი შაპო ეხურა, დიდი ჯოხი ეჭირა და მკაცრი სახე ჰქონდა.

მხოლოდ ორიოდე წლის შემდეგ ვიგდე ხელთ გორკის მოთხრობები და ხარბად დავეწაფე. ყველაფერმა გამაოცა და გამიტაცა: მისმა წერის ძალამ, ახალმა თემამ, ახალმა სამყარომ, ახალნაირმა სახეებმა, წერის დახვეწილობამ, ენის სინათლემ, სისადავემ, გამჭვირვალებამ, ტიპების ასახვის მანერამ, მისმა ორიგინალობამ და ფილოსოფიამ. ამგვარი რამ ჯერ არ წამეკითხა. ავტორი ხალხის ფსკერში უმძლავრეს ტიპებს პოულობდა, რომელნიც არსებულ მორალს და წესწყობილებას ძირფესვიანად აზანზარებდნენ და ყველაფერს უარჰყოფდნენ. მათი ცინიკურ დემონური ხასიათი, რომანტიულ სამოსელში გახვეული, მაშინდელ პოლიტიკურ გაზაფხულს ეხმაურებოდა და მკითხველს საბრძოლველ გუნებაზე აყენებდა. გორკიმ რამდენიმე დღეში დამიპყრო და მას შემდეგ იმის უდიდესი პატივისმცემელი გავხდი.

* * *

1902 ან 1903 წელს გორის ციხეზე ავდიოდი უკანა მხრიდან. ნაწვიმარი იყო. სველ ბალახს ფეხი ძლივს ეკიდებოდა. ავდიოდი და ზოგჯერ უკანვე ვცურდებოდი. უცებ ჩემ წინ ვიღაც კაცი მოსხლტა, წაიქცა და ჩემსკენ დაცურდა. რომ დამჯახებოდა, მეც ქვევით ჩამიტანდა. მე ცალი ხელი ბუჩქს ვტაცე მეორე ხელი იმ კაცს ჩავავლე, შევაჩერე და გავშტერდი: დიდი მწერალი მაქსიმ გორკი ვიცანი. წამოდგა, მადლობა გადამიხადა.

— ალექსი მაქსიმოვიჩს ვახლავარ. — მივესალმე მე.

იმანაც გაოცებით გადმომხედა და ვინაობა გამომკითხა. მე მოკლე პასუხი გავეცი და დავუმატე: იალტაში მინახვიხართ მეთქი.

— ალბათ ახლო სადმე ბაღი და ვენახი გექნებათ. — მითხრა მან, როცა გაიგო, რომ მე განათლებით აგრონომი ვიყავი.

— მაქვს, მაგრამ...

და გამოვტყდი, რომ მამულს თავი დავანებე და მწერლობას ვაპირებდი. გორკიმ მომიწონა, მაგრამ გამაფრთხილა: მწერლობა მეტად მძიმე ხელობაა, ამ ასპარეზზე ათიათასობით გამოსულან და მხოლოდ ათეულები დარჩენილანო.

მითხრა, თუ ნიჭსა და შრომის უნარს გამოიჩენთ, დაგაფასებენო. ბევრი რამ გამომკითხა და ბოლოს მირჩია: — ბაღ-ვენახს არაფერი სჯობია. დღისით იმუშავეთ და ღამით კი სწერეთ.

ციხე მოვიარეთ, სანახაობით დავტკბით და ნელნელა ქალაქში ჩამოვედით. მე ცხინვალს მივდიოდი, ის კი სადგურისკენ გაემართა.

* * *

მას შემდეგ 25 წელიწადი გავიდა. 1928 წელს გორკი ტფილისს ეწვია. სადგურზე დავუხვდით. მწერალთა სასახლეში მცირე ვახშამი გავუმართეთ. მე შესაფერი სიტყვით მივესალმე. ამანაც საპასუხო სიტყვა გვითხრა.

მეორე დღეს, სანამ სხდომა დაიწყებოდა, გორკის გორის ციხე გავახსენე.

გორკიმ მრავალი აქაური რევოლუციონერი გაიხსენა, ბევრი აქაური ძველებური ამბავი გვიამბო, მერმე დიდ დარბაზში გავიდა, ტაშის ქუხილის დასრულებას მოუცადა და აუდიტორიას მიმართა:

— ვისაც რაც უნდა, მკითხოს.

მრავალი შეკითხვა მიაყარეს. მე, მიწიშვილმა, ტ. ტაბიძემ და ზოგმა სხვა მწერალმაც თითომ ოროლი-სამსამი კითხვა მივეცით. როცა მან ლიტერატურულ გავლენის მაგალითები ჩამოთვალა, მე რეპლიკა მივაწოდე:

— სტენდალმა ტოლსტოიზე ძლიერი გავლენა მოახდინა.

გორკის „ძლიერი“ ეუცხოვა. მე გავახსენე მას, რომ ტოლსტოიმ ისეთივე თვალით დაინახა ბოროდინოს ბრძოლა და პიერ ბეზუხი, როგორც სტენდალმა ასწერა ვატერლოო და თავის გმირი, რომელსაც ძლიერ ჰგავს მეთქი ბეზუხი. გორკი მაინც არ დამეთანხმა. სიტყვა „ძლიერი“ ეჩოთირებოდა.

* * *

1934 წელს მწერალთა ყრილობის დროს გორკიმ სამოციოდე მწერალი მიგვიწვია თავის აგარაკზე. იმის თავმჯდომარეობით თათბირი გაიმართა შესახებ ეროვნულ უმცირესობათა კულტურის გაცნობისა. თათბირის შემდეგ ბაღში გავიარეთ. მან რამდენიმე კითხვა მომცა: რა ალაგი აქვს დათმობილი რუსულ ენას ქართულ სკოლებში, რომელი რუსი მწერალი ვთარგმნეთ ქართულად, ყველაზე მეტად ვინ უყვარს ქართველ მკითხველს, და ბოლოს მკითხა:

— უყვართ თუ არა დოსტოევსკი?

— არა, არ უყვართ. — ვუპასუხე მე. — ბნელია, მწვალებელია, სალოსია.

— არც საჭიროა რომ შეიყვარონ. ნურც დაბეჭდავთ. წლეულს რამდენიმე მისმა თაყვანისმცემელმა მოიკლა თავი. ის რა მწერალია, ვინც მკითხველს საწამლავს აწოდებს და თავს აკვლევინებს!

მეორე დღეს გორკი სხვაგან დავინახე. ჩვენი კავშირისა და ყრილობის თავმჯდომარე სკამზე იჯდა. ორივე მუხლზე პიონერები ესხდა და ყოველ მხრივაც პიონერთა დელეგატები ეხვეოდნენ. ერთმა მათგანმა გორკის თავის წითელი ყელსაბამი მოახვია და წესიერად შეუკრა. გორკი მათ რაღაცას ეჩურჩულებოდა. პიონერები ჩუმად ხითხითებდნენ. უცებ იუპიტერები მიაყენეს და ათიოდე ფოტოაპარატი დაუმიზნეს. გორკის პროჟექტორების შუქი არ უყვარდა. ზურგი შეაქცია მათ და ბავშვებთან კურკური განაგრძო. ეს სურათი სამუდამოდ ჩამრჩება ხსოვნაში.

მწერალთა ოჯახი დაობლდა. ჯერჯერობით გორკის ბადალი არავინა გვყავს. გორკი გარდაიცვალა, მაგრამ მისი საქმე და მისი სახელი მთელი მსოფლიოს მშრომელთა ხსოვნაში უკვდავი დარჩება.



## ალმაცალი კლასის დიდი მწერალი

**შალვა რადიანი**

მაქსიმ გორკის სახით არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი ქვეყნის მშრომელმა მასებმა დაკარგა პროლეტარული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელი, პირველი პროლეტარული მწერალი, რომლის ლიტერატურული და პუბლიცისტური მოღვაწეობა მჭიდროთ იყო დაკავშირებული მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლებთან. მ. გორკის სამწერლო ნიჭი ვითარდებოდა რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან, განვითარებასთან ერთად. მუშათა კლასს მ. გორკის სახით ჰყავდა თავისი ცხოვრების დიადი მესიტყვე. ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე ლ ე ნ ი ნ ი მ. გორკის შესახებ წერდა: „გორკი უსათუოდ არის პროლეტარული ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელი, რომელმაც ბევრი გააკეთა მისთვის და კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეუძლია... გორკი ავტორიტეტია პროლეტარული ლიტერატურის საქმეში, ეს უდაოა... პროლეტარული ლიტერატურის საქმეში მ. გორკი არის უდიდესი პლიუსი“.

მ. გორკი — ნამდვილი პროლეტარული მწერალი, მჭიდროთ იყო დაკავშირებული არა მარტო ჩვენი ქვეყნის საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელ მასებთან. თავისი უკვდავი შემოქმედებით მ. გორკი ლამპარივით უნათებდა გზას მათ.

1892 წ. ტფილისის გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“, რომელსაც ხელს აწერდა მანამდე სრულიად უცნობი მ. გ ო რ კ ი. ამის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში მ. გორკის სახელი ჩნდებოდა რუსეთის პროვინციალური ქალაქების პრესის ფურცლებზე. 1898 წ. მ. გორკი უკვე ცნობილი მწერალია. ამ ხანებში გამოცემულ ნაწერების ორმა ტომმა მ. გორკი გახადა სახელოვან და საყვარელ მწერლად.

როდესაც მ. გორკის ასეთ უჩვეულო სამწერლო საზოგადოებრივ გამარჯვებაზე ვლაპარაკობთ, აქ მთელი რიგი მოვლენებია მისაღები მხედველობაში. მ. გორკის ასეთი პოპულარობა უბრალოთ არ მომხდარა. გარდა მ. გორკის სამწერლო ნიჭისა აქ სხვა მომენტებმაც ითამაშა გადამწყვეტი როლი.

მ. გორკი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა მაშინ, როდესაც რუსულ მწერლობაში გამეფებული იყო პესიმიზმი „პატარა საქმეების“ კულტი, პირადი „სრულყოფის“ თეორიები, ინდივიდუალიზმი და გულგრილობა. გადაგვარებული ნაროდნიკული მოძრაობა თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. რევოლუციური მარქსიზმი საბოლოოდ ასამარებდა რეაქციაში გადასულ ნაროდნიკულ ილუზიებს. რევოლუციური მარქსიზმი (ბოლშევიზმი) ღებულობს ხელმძღვანელობას მუშათა მოძრაობაზე, რაზმავს პროლეტარიატს კაპიტალისტური ქვეყნის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ასეთ დროს გამოდის სამწერლო ასპარეზზე მ. გორკი. მას ახალი, ჯანსაღი ჰაერი შეაქვს თავისი შემოქმედებით მხატვრულ მწერლობაში. მ. გორკი შედის ლიტერატურაში, როგორც ქარიშხლის წინამორბედი, როგორც ბუნტარი. მთელი თავისი ძლიერი ნიჭით იგი ებრძოდა მეშჩანობას, სიბნელეს და ექსპლოატაციაზე დამყარებულ წყობილებას, მისი მდიდარი შემოქმედება სავსე იყო წინსვლის ბრძოლის მოწოდებებით.

მ. გორკის შემოქმედების სოციალური მიმართულება, რომელიც გამსჭვალული იყო პროტესტის სულით ძველი წესწყობილების წინააღმდეგ, ყველაზე უფრო შეეფერებოდა მუშათა კლასის საზოგადოებრივ მოძრაობას. ამიტომ შემთხვევითი არ იყო მ. გორკის დაპირისპირება ა. ჩეხოვთან. მ. გორკის ემბლემა იყო „გაბედული შევარდენი“, ა. ჩეხოვის კი — „მოწყენილი და სევდიანი თოლია“, თოლია იყო სიმბოლო წარსულის, გულგატეხილობის, შევარდენი კი ბრძოლის, იმედიანობის და მომავლის. მშრომელი მასები შევარდენს თანაუგრძნობდენ.

მ. გორკის სალიტერატურო მოღვაწეობის პირველი პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო მოჰარბებული რომანტიზმი. მას თავის მოთხრობებში გამოჰყავდა არაჩვეულებრივი გმირები, განსაკუთრებული ენერგიის მქონე ადამიანები და გვიჩვენებდა უჩვეულო შემთხვევებს („მაკარ ჩუდრა“, „ჩელკაში“, „მოხუცი იზერგილი“ და სხვა). მ. გორკი უდიდესი სიღრმით და სიძლიერით ხატავდა კაპიტალისტურ-თვითმპყრობელურ წყობილების მიერ დამცირებულ „უარყოფილ“ ადამიანთა ქვეყანას. კაპიტალიზმმა ისინი ჩაყარა სიღარიბის ორმოში, გადააქცია ლოთებად, ბოროტმოქმედებად. კაპიტალიზმი შეუბრალებლად ისროდა ცხოვრების „ფსკერზე“ ადამიანთა მასებს, ამახინჯებდა და უსპობდა მათ ცხოვრების ყოველგვარ სახსარს.

ყველაზე უფრო ძალუმად რევოლუციური მოწოდება მ. გორკიმ გამოხატა „სიმღერა შევარდენზე“-ში. მას მოჰყვა შემდეგ „ქარიშხალის სიმღერა“, რომელშიაც მკვეთრად მოისმოდა რევოლუციის მოახლოვება: „ქარი გრიალებს... ცა სჭექს, ჰქუხს, გრგვინავს ზეციდან, ცვივა ცეცხლის ისრები!.. აგერ შეხედეთ — შავ ღრუბელთ შორის ელვა-ჭექაში უშიშრად დაჰქრის, ზღვას აღშფოთებულ თავს დასტრიალებს და შეუპოვრად ყივის გრიგალა-მახარობელი ქარიშხალისა: „დე, იგრიალოს, მედგრად, მრისხანედ აწ ქარიშხალმა!“.

თვითმპყრობელობამ, ბურჟუაზიამ კარგად გაიგო, თუ საითკენ მოუწოდებდა „ქარიშხალის სიმღერის“ ავტორი. ჟურნალი, რომელშიდაც დაიბეჭდა ეს ნაწარმოები დაუყონებლივ დახურეს.

1907 წ. მ. გორკიმ გამოაქვეყნა თავისი ცნობილი რომანი „დედა“. ამ რომანს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მ. გორკის შემოქმედებაში. „დედა“ მ. გორკის პირველი დიდი პროლეტარული რომანია. ეს ნაწარმოები მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელ წიგნად გადაიქცა. იგი თავის დროზე გადათარგმნილი სხვადასხვი უცხო ენებზე, დიდი რაოდენობით ვრცელდებოდა.

„დედა“-თი მ. გორკიმ რუსეთის ლიტერატურაში შეიყვანა მუშათა კლასი, როგორც ბუნებრივი და კანონიერი ობიექტი მხატვრული გამოხატვისა. „დედა“-ში მ. გორკი მუშებს ხატავს არა იმიტომ, რომ მკითხველში გამოიწვიოს სიბრალული ღატაკ და დაჩაგრულ ადამიანთადმი, ამ ნაწარმოებში მუშათა ცხოვრება მოცემულია არა, როგორც ფონი, როგორც ეს ადრინდელ ლიტერატურას ახასიათებდა, მუშა მაქსიმ გორკის გამოხატვით არის ისტორიულად მომქმედი საზოგადოებრივი ძალა, მებრძოლი თავისი კლასის ინტერესებისათვის, რომელიც გამოითხოვს არა შებრალებას, არამედ, როგორც ქვეყნიერების ბატონპატრონი იბრძვის თავისუფლების მოსაპოებლად. „დედა“-ში მუშათა კლასი ნაჩვენებია თავისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით, ნაჩვენებია კაპიტალიზმის და საერთოდ ექსპლოატაციის ყოველი ფორმის წინააღმდეგ მებრძოლად. მუშათა კლასი ნაჩვენებია არა მტრის, არა უბრალო მთხრობელის პოზიციებიდან, არამედ რომანი დაწერილია ისეთი ადამიანის მიერ, რომელმაც მუშათა კლასის საქმე გაიხადა თავის პირად საქმედ.

ბიოგრაფიულ პლანში თვით მ. გორკისათვის, როგორც მწერლისათვის „დედა“ ნიშნავდა სრულ შეგრძნებას და ხელოვნების ენაზე გადატანას მეცნიერული, რევოლუციური მარქსიზმის პრინციპებისა. ამიტომ იყო, რომ ასე გააფთრებული დაესხა თავს მ. გორკის ბურჟუაზიულ-შავრაზმელი კრიტიკა „დედა“-ს გამოქვეყნების შემდეგ. მათ დაიწყეს ლაპარაკი „გორკის დასასრულზე“, გორკის, როგორც მწერლის „სიკვდილზე“, რომელმაც თავისი ნიჭი თითქოს მსხვერპლად მოუტანა მშრალ პუბლიცისტიკას. ბურჟუაზიული კრიტიკის ასეთი შეფასება გამოწვეული იყო იმით, რომ ბურჟუაზიას გორკის სახით ჰყავდა მძაფრი მოწინააღმდეგე, რომელიც მთელი თავისი შესაძლებლობით იბრძოდა მუშათა კლასის, მთელი მშრომელი და ექსპლოატირებული მასების გასანთავისუფლებლად.

უარყოფით დამოკიდებულებამ მ. გორკისადმი, როგორც ბოლშევიკურ-პარტიულ მწერლისადმი, თავისი გამოხატულება ჰპოვა მენშევიკურ პრესაშიაც. მენშევიკი პუბლიცისტები წინაღუდგენ მ. გორკის რევოლუციურ-მებრძოლ მიმართულებას.

„დედა“-ს უდიდესი მხატვრული და აგიტაციურ-პროპაგანდისტული მნიშვნელობა საუკეთესოდ განსაზღვრა ლენინმა. მ. გორკი იგონებდა, რა თავისი მონაწილეობის შესახებ პარტიის მე-5 ყრილობაზე, ასე გადმოგვცემდა იგი ლენინის სიტყვებს: „...საჭირო წიგნია. მრავალი მუშა ღებულობდა შეუგნებლად, სტიქიურად მონაწილეობას რევოლუციურ მოძრაობაში და ეხლა ისინი „დედა“-ს წაიკითხავენ თავიანთ თავისათვის დიდი სარგებლობით“... შემდეგ მან გულდასმით გამომკითხა, ითარგმნება თუ არა „დედა“ უცხო ენებზე. რამდენად დამახინჯდა წიგნი რუსეთის და ამერიკის ცენზურაში. მ. გორკის „დედა“-ს და საერთოდ მთელი მისი შემოქმედების უდიდესი მნიშვნელობა რევოლუციის საქმისათვის, პროლეტარიატისთვის, როგორც ცნობილია, მრავალჯერ იყო აღნიშნული ლენინის მიერ.

სინამდვილემ შეუბრალებლად გააცამტვერა კლასობრივი მტრების ყოველგვარი ლაყბობა. მ. გორკის „დასასრულზე“. სწორედ ამ „დასასრულზე“ ძახილის შემდეგ შექმნა მ. გორკიმ ისეთი მაღალხარისხოვანი ნაწარმოებები, როგორიცაა „ქალაქი ოკუროვი“, „მათე კოჟემიაკინის ცხოვრება“, „ბავშვობა“, „ადამიანებში“, „არტამონოვების საქმე“, „კლიმ სამგინის ცხოვრება“ და მრავალი სხვა.

„არტამონოვების საქმეში“ მ. გორკი გვიხატავს ძველი რუსეთის ცხოვრებას. ამ ნაწარმოებში დახასიათებულია კაპიტალისტ არტამონოვების ოჯახის (სამი თაობის) ისტორია, მათი დაღუპვა. რომანის ფართო ტილოზე მოსჩანს ეპოქის დამახასიათებელი მოვლენები, რომელიც დიდი მხატვრული სიძლიერით და სიღრმით არის შესრულებული.

უკანასკნელად მ. გორკიმ შექმნა ისეთი ნაწარმოები, რომლის მსგავსიც ეპოქის მასალის სიმდიდრით, გამოსახვის საშუალებების სიძლიერით და ისტორიული მნიშვნელობით, იშვიათად თუ შეგხვდებათ მსოფლიო ლიტერატურაში. ეს ნაწარმოები არის „კლიმ სამგინის ცხოვრება“ (სამი ტომი). მასში მთელი თაობების ისტორიაა მოცემული. ეპოქა, რომელიც ეხება ეს „კლიმ სამგინი“ იწყება გასული საუკუნის 80-ინ წლებიდან. ამ ნაწარმოებით მ. გორკი აჯამებს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შედეგებს რევოლუციამდე რუსეთში და ამხელს ბურჟუაზიულ ინტელიგენციას, რომელიც ზოგჯერ, რევოლუციონერობის ტანსაცმელითაც იმოსებოდა ხოლმე.

მ. გორკის პუბლიცისტური მოღვაწეობა მტკიცედ არის დაკავშირებული მის მხატვრულ შემოქმედებასთან. მ. გორკი ერთმანეთს უპირისპირებს საბჭოების ქვეყანას, სადაც იქმნება ახალი, ბედნიერი ცხოვრება—მომაკვდავ კაპიტალისტურ ქვეყანას. მ. გორკის წერილების ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია ღრმა რწმენით საბჭოთა კავშირის მშრომელი მასებისადმი, რომლებიც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ძლევამოსილად აშენებენ უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას.

მ. გორკი თავის წერილებში გამოდიოდა კულტურული რევოლუციის ნამდვილ ენტუზიასტათ. ტექნიკის დაუფლებისათვის, ახლი ადამიანის აღზრდისათვის მებრძოლად იგი დიდის ინტერესით და დაკვირვებით ადევნებდა თვალყურს ახალ სოციალისტურ კულტურის ზრდა-განვითარებას.

მ. გორკი არ ივიწყებდა დასავლეთ ევროპის ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც, „კულტურის ოსტატებსაც“ და მკვეთრად აყენებდა მათ წინაშე საკითხს თუ ვისთან არიან ისინი: „კულტურის შავ მუშებთან ცხოვრების ახალი ფორმის შესაქმნელად თუ ამ ძალის წინააღმდეგ, უპასუხისმგებლო მტაცებელთა კასტის შესანარჩუნებლად“.

1932 წ. დასავლეთ ევროპის რევოლუციურ ინტელიგენციასთან ერთად მ. გორკი მონაწილეობს ანტიიმპერიალისტურ კონგრესში და იქ მიემგზავრება საბჭოთა დელეგაციის მეთაურად. დამფრთხალმა ბურჟუაზიამ იგი არ შეუშვა ჰოლანდიაში, სადაც მიმდინარეობდა კონგრესის სხდომები, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მისი სიტყვა, რომელიც უნდა წარმოთქმულიყო კონგრესზე, გამოქვეყნდა საბჭოთა პრესაში და მაინც მიაღწია მთელ ქვეყნის მშრომელ მასებამდი.

მ. გორკის უდიდესი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი დიდ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევდა მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსულ მწერლებს. ეს მან დაიწყო ჯერ კიდევ რევოლუციამდე, იმ წლებში, როდესაც პროლეტარული ლიტერატურა მხოლოდ ისახებოდა. მ. გორკი მტკიცედ ახდენდა იმ აზრის პროპაგანდას, რომ მშრომელი მასები „ჯანსაღი და აღფრთოვანებული ენერგიით“ შეუდგებიან „ახალი კულტურის შექმნას“. 1914 წელს, როდესაც მ. გორკი თავისი რედაქციით სცემდა პროლეტარული მწერლების პირველ კრებულს, წინასიტყვაობაში წერდა: „პროლეტარიატს შეუძლია შექმნას თავისი ლიტერატურა, რომ ამ წიგნზე თავის დროზე იტყვიან, როგორც—რუსეთის პროლეტარიატის ერთერთ ნაბიჯზე თავისი მხატვრული ლიტერატურის შექმნის საქმეში“. ამ დიდ საქმეს მ. გორკი უკანასკნელ დრომდე განაგრძობდა, მისი ხელმძღვანელობით იზრდებოდა ახალი კადრები მუშებიდან და კოლმეურნეებიდან. მ. გორკი სამართლიანად იყო აღიარებული მთელი საბჭოთა ლიტერატურის ხელმძღვანელად და მასწავლებლად. იგი დაუღალავად იბრძოდა საბჭოთა მწერლობის ხარისხისათვის. მისი იდეური დონის და ოსტატობის ამაღლებისათვის.

მ. გორკი — მწერალი, პუბლიცისტი, რევოლუციონერი, მასწავლებელი, სოციალისტური მშენებლობის მონაწილე — უყვარდა არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი ქვეყნის მშრომელ მასებს.

# მ ა ქ ს ი მ  გ ო რ კ ი

**ჩვენი წიგნების მთავარ გმირად უნდა ავირჩიოთ შრომა, ე. ი. შრომის პროცესებით დარაზმული ადამიანი, რომელიც ჩვენში აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკის მთელი სიმძლავრით, ადამიანი, რომელიც თავის მხრივ შრომას ხდის უფრო მსუბუქად, ნაყოფიერად და აჰყავს იგი ხელოვნების სიმაღლემდე.**

**მ. გორკი**, მწერალთა 1-ლ საკავშირო ყრილობაზე წარმოთქმულ მოხსენებიდან.




გაზ. „კავკაზ“-ის 1892 წ. 12 სექტემბრის ნომერი, სადაც დაბეჭდილია მ.გორკის პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“.

## პირველი და უდიდესი პროლეტარული მწერალი

ამ ღრმა დანაკლისს მწარედ იგრძნობს საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდობა. ქვეყნიერების მშრომელთა დიდი მეგობარი, ახალი სოციალისტური კულტურის წინამძღოლი მაქსიმ გ ო რ კ ი იყო დიდი მეგობარი და ბრძენი ხელმძღვანელი პროლეტარული კულტურის ახალგაზრდობისა, იგი ზრდიდა მათ ათეული წლების მანძილზე ლიტერატურის მებრძოლ თაობებათ, იმ დიდი გზის ოსტატებად, რომლის სათავეც მისმა გენიამ გაჭკაფა და რომელსაც დღემდე ძლევამოსილად მოჰყვებოდა ეს დიდი ადამიანი. გ ო რ კ ი ს თბილ ხელს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა საბჭოეთის დიდ ლიტერატურას, ყველაზე უფრო განიცდიდა საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდობა, იგი წრთვნიდა მათ ყოველ დღიურად თავისი კლასიკური შემოქმედებით, ცხოვრებით, უშუალო ხელმძღვანელობით.

გარდაიცვალა დიდი ოსტატი, პირველი და უდიდესი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გ ო რ კ ი, ვინც კიდევ მრავლად აღზრდის ახალ კულტურისთვის მებრძოლ თაობებს საბჭოეთსა და უცხოეთში.

ჩემს მეხსიერებას კი მაქსიმ გ ო რ კ ი ს შემოქმედებასთან ერთად სამუდამოდ დარჩება მისი დიადი სახე, რომელსაც ვუცქეროდი საბჭოთა მწერლობის პირველ საკავშირო ყრილობის ტრიბუნაზე კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში.

ირაკლი აბაშიძე

**ჩვენ გამოვდივართ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატმა და გლეხობამ ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვეს თავისი ნიჭისა და უნარის განვითარების უფლება და სადაც მუშები და კოლმეურნეები ყოველდღიურად, სხვადასხვანაირად ამჟღავნებენ ამ უფლების გამოყენების უნარს.**

**მაქსიმ გორკი**

## რომანიდან „დ ე დ ა“

### პ ი რ ვ ე ლ ი  მ ა ი ს ი

ყოველ ღამეს აკრავდნენ კედლებზე ფურცლებს, რომლებიც მოუწოდებდნენ მუშებს ედღესასწაულათ პირველი მაისი. ფურცლები პოლიციის სამმართველოს კარებზედაც კი გაჩნდა. ყოველდღე ნახულობდნენ მათ ფაბრიკაში. პოლიცია დილიდანვე დადიოდა გარეუბანში, იგინებოდა, ხევდა ლილისფერ ქაღალდებს კედლებზე, მაგრამ სადილობის დროს ფურცლები ისევ დაფრინავდნენ ქუჩებში, გამვლელებს ფეხებში ებლანდებოდნენ. ქალაქიდან მაძებარი პოლიციელი გამოგზავნეს. ისინი კუთხეებში იდგნენ და ათვალიერებდნენ მუშებს, რომლებიც ხალისით მიდიოდნენ ფაბრიკიდან სადილად ან და ფაბრიკაში ბრუნდებოდნენ. ყველას უხაროდა, რომ პოლიცია უძლური იყო და ხანში შესული მუშებიც-კი სიცილით ეუბნებოდნენ ერთმანეთს:

— რას აკეთებენ. ჰა?

ყველგან იკრიბებოდა ხალხი ჯგუფჯგუფად და მღელვარე მოწოდების ირგვლივ მსჯელობდნენ. სიცოცხლე სდუღდა, იგი ამ გაზაფხულზე უფრო საინტერესო გახდა, ყველასათვის რაღაც ახალი მოჰქონდა. ზოგიერთისთვის — გაბოროტება, და ისინიც ღვარძლიანად აგინებდნენ აღიაქოთის ამტეხთ; სხვებისთვის — გაურკვეველი შიში და იმედი, და მესამეთათვის, — ისინი უმცირესობა იყო, — მწვავე შეგნება იმისა, რომ ისინი წარმოადგენენ ძალას, რომელიც ყველას აღვიძებს.

პავლესა და ანდრიას თითქმის არ ეძინათ ღამეებით. სახლში განთიადისას ბრუნდებოდნენ დაღლილები, ხმაჩახრენწილნი და მკრთალები. დედამ იცოდა, რომ გარეუბნის გარშემო ღამით დადიოდა ცხენოსანი პოლიცია, დაძვრებოდნენ მაძებრები, რომლებიც ჩხრეკავდნენ ცალკე მუშებს, შლიდნენ ჯგუფებს და ატუსაღებდნენ კიდეც ამა თუ იმ მუშას.

...დედას გული ძლიერ აუძგერდა და ხალხს ჩამორჩა. იგი სასწრაფოდ გააგდეს განზე, კედელს მიაკრეს. მას გვერდზე ჩაუარა ხალხის სქელმა ტალღამ. ისინი ბევრნი იყვნენ და ეს ახარებდა დედას.

თითქოს ჰაერში მღეროდა უზარმაზარი სპილენძის მილი, მღეროდა და აღვიძებდა ხალხს, იწვევდა ზოგიერთებს ბრძოლისაკენ, სხვებში ჰბადებდა გაურკვეველ ხალისს, რაღაც ახალის, მწველ ცნობისმოყვარეობის წინაგრძნობას. პირველთა რიგებში კრთოდა ბურუსით მოცული იმედები, სხვებში კი წლობით დაგროვილი ღვარძლი პოულობდა გამოსავალს, ყველა იხედებოდა წინ, იქ, სადაც ჰაერში წითელი დროშა ფრიალებდა.

— წავიდეთ! — ბღაოდა ვიღაცას აღფრთოვანებული ხმა. — მშვენიერია, ბიჭებო!

სჩანდა, რომ იგი გრძნობდა რაღაც დიდს, რისიც სიტყვებით გამოთქმა არ შეეძლო და მაგრად იგინებოდა. მაგრამ მონის ღვარძლი, ბნელი და ბრმა ღვარძლი გველივით სისინებდა, იკლაკნებოდა ბოროტ სიტყვებში; იგი შეშფოთებული იყო სინათლით, თავს რომ დასცემოდა.

— წყეულებო! — დამუქრებით ყვიროდა ვიღაცა.

თავმობეზრებით მიძვრებოდა დედის ყურებში ვიღაცის მჩხვლეტავი წივილი:

— მეფე იმპერატორის, მისი უდიდებულესობის წინააღმდეგ აწყობთ, არა, ამბოხებას?

დედის გვერდით ელავდნენ შეძრწუნებული სახეები, ხტუნვით მირბოდნენ მამაკაცები, დედაკაცები. ხალხი ბნელ ღველფად მიისწრაფოდა წინ. მას იტაცებდა ეს სიმღერა, რომელიც ხმების მოწოლით თითქმის ყველაფერს ანგრევდა, გზას ათავისუფლებდა, დედა შორს გასცქეროდა წითელ დროშას, ხედავდა შვილის სახეს, მის ბრინჯაოს შუბლს და თვალებს, რომლებიც რწმენის ნათელი ცეცხლით იწვოდნენ.

მაგრამ აი ის ბრბოს ბოლოში მოექცა, აღმოჩნდა ხალხში, რომელიც არ მიეჩქარებოდა და გულცივად იყურებოდა, იყურებოდა წინ, იყურებოდა მაყურებლების ცივი ცნობისმოყვარეობით, რომლებმაც წინასწარ იციან სანახაობის დასასრული.

მიდიოდნენ და ხმამაღლა, მტკიცედ ლაპარაკობდნენ.

— ერთი როტა სკოლასთან დგას, მეორე ფაბრიკასთან...

— გუბერნატორი მოვიდა...

— მართალია?

— თვითონ ვნახე — მოვიდა!

ვიღაცამ მხიარულად დაიგინა და სთქვა:

— მაინც ეშინიათ ჩვენების! ჯარიც მოვიდა და გუბერნატორიც.

— კეთილებო! — ფიქრობდა დედა.

მაგრამ მის გარშემოც ცივი და მკვდარი ხმები გაისმოდა. მან მოუჩქარა ნაბიჯს, რომ გასცილებოდა ამ ხალხს! მისთვის ადვილი იყო გაესწრო მათთვის, რომლებიც ასე ზარმაცად და ნელა მიდიოდნენ.

უეცრად თითქოს ბრბო რაღაცას დაეტაკა, მისმა სხეულმა შეშფოთებული გუგუნით შეუჩერებლად დაიხია უკან. სიმღერაც შეკრთა, შემდეგ უფრო სწრაფად, ხმამაღლა გაისმა. ხმების სქელი ტალღა ისევ ძირს დაეშვა, უკან გახოხდა. ხმები ერთიმეორეზე სცვივოდა გუნდიდან, ისმოდა ცალკე ამოძახილები, რომლებიც სცდილობდნენ აეყვანათ სიმღერა პირვანდელ სიმაღლეზე, წინ გაეგდოთ იგი...

> აღსდეგ, შემოკრბით
> მუშებო აღსდექით!
> აღსდეგ მტერზედა,
> მშიერო ძმებო!

მაგრამ ამ მოწოდებაში არ იყო ერთიანი რწმენა და უკვე შიში კრთოდა მასში.

დედა ვერაფერს ხედავდა და არც იცოდა რა მოხდა წინ. იგი მიარღვევდა ბრბოს, ჩქარა მიდიოდა წინ. მას ეღობებოდა უკან დახეული ხალხი, ზოგიერთებს თავი ჩაეღუნა და წარბები შეეჭმუხვნა, სხვები დარცხვენით იღიმებოდნენ, მესამენი — დაცინვით სტვენდნენ. დედა სევდით ათვალიერებდა მათ სახეებს. მისი თვალები დუმილით ეკითხებოდნენ მათ, ემუდარებოდნენ, მოუწოდებდნენ...

— ამხანაგებო! — გაისმა პავლეს ხმა. — ჯარისკაცები ისეთივე ხალხია, როგორიც ჩვენ. ისინი არ გვცემენ. რათ უნდა გვცემონ? ნუთუ იმიტომ, რომ ჩვენ ყველასთვის საჭირო სიმართლეს ვამბობთ? ეს სიმართლე ხომ იმათთვისაც არის საჭირო. ჯერ არ ესმით ეს, მაგრამ ახლოა დრო, როცა ისინიც გვერდში ამოგვიდგებიან, როცა ისინიც წავლენ არა ძარცვისა და მკვლელობის, არამედ თავისუფლების დროშის ქვეშ. იმისთვის, რომ ჯარისკაცებმა რაც შეიძლება მალე გაიგონ ჩვენი სიმართლე, ჩვენ წინ უნდა გავწიოთ. წინ ამხანაგებო! ყოველთვის — წინ!

პავლეს ხმა ისმოდა მტკიცედ. სიტყვებს ჰაერში ნათლად გაჰქონდა ტკაცანი. მაგრამ ბრბო იშლებოდა ხალხი ერთი მეორეზე მიდიოდა მარჯვნივ და მარცხნივ თავიანთ სახლებისაკენ, ღობეს მიჰყვებოდნენ. ახლა ბრბო სოლს ჰგავდა, მის წამწვეტილ მხარეს წარმოადგენდა პავლე და მის თავზე, მაღლა წითლად იწვოდა მუშათა ხალხის დროშა. შავს ფრინველსა ჰგავდა კიდევ ბრბო — მას ფართოდ გაეშალა ფრთები, იგი მზად იყო ამდგარიყო და გაფრენილიყო. პავლე მისი ნისკარტი იყო...



**ჩვენ გამოვდივართ, როგორც დასაღუპად განწირული ქვეყნის მსჯავრმდებელნი და როგორც ნამდვილი ჰუმანიზმის, რევოლუციური პროლეტარიატის ჰუმანიზმის, იმ ძალის ჰუმანიზმის განმამტკიცებელი ადამიანები, რომელიც ისტორიისაგან მოწოდებულია გაანთავისუფლოს მშრომელთა მთელი მსოფლიო შურისა, მოსყიდვისა, ყველა სიმახინჯისაგან, საუკუნეების მანძილზე რომ ასახიჩრებდენ შრომის ადამიანებს.**

**მაქსიმ გორკი**

## პროლეტარიატის კლასიკოსი

### ალი არსენიშვილი

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა — დიადი საბჭოთა კავშირი, მსოფლიოს მუშათა კლასი, მთელი მოწინავე კაცობრიობა ქედს იხრის უდიდესი რუსი მწერლის და მხატვრული სიტყვის გენიალური ოსტატის უკვდავი ხსოვნის წინაშე.

საბჭოთა მწერლობა, და მასთან საერთაშორისო პროლეტარული მწერლობა, დადაბლდა ერთი თავით, და მასთან უმნიშვნელოვანესი და უბრწყინვალესით მათ შორის, რომელიც მას გააჩნდა.

გორკის, როგორც პროლეტარული მწერლის, მნიშვნელობა იზრდებოდა რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის და რუსეთის რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობის ზრდასთან ერთად.

გორკი, როგორც მწერალი, დაიბადა მასობრივი პროლეტარული მოძრაობის აზვირთების ეპოქაში. და ის ფაქტი, რომ გორკის სახით, მუშათა კლასმა თავისი წიაღიდან წარმოშვა ასეთი ძალისა და მნიშვნელობის იდეოლოგი მხატვრული სიტყვის დარგში, ნიშნავდა, რომ იგი უკვე გახდა კლასი თავისთვის, რომ მას უკვე შესწევდა ძალა კულტურის მწვერვალების დასაპყრობად.

და მართლაც, 1905 წლის რევოლუციის წინა წლებში გორკი ძველი რუსეთის ისეთი მწერლების რიგში ჩადგა, როგორიც იყვნენ ლევ ტოლსტოი, ჩეხოვი, კოროლენკო. გორკიმ იმ თავითვე მოიპოვა მათ შორის თანასწორი ადგილი, ყოველგვარი დათმობის გარეშე. გორკის ავტორიტეტი, მისი მსოფლიო სახელი იმდენად დიდი იყო იმთავითვე, რომ იგი ჩეხოვთან და კოროლენკოსთან ერთად არჩეულ იქნა საპატიო აკადემიკოსად 1904 წელს, მაგრამ მეფის მთავრობამ მალე იგრძო თავისი „შეცდომა“ და გააძევა იგი აკადემიიდან მისი პროლეტარული წარმოშობისა და მიმართულების გამო.

თუ რამოდენა საერთაშორისო სახელი ჰქონდა გორკის 1905 წლ. რევოლუციის ეპოქაში, შეიძლება დავინახოთ თუნდაც ასეთი ფაქტიდან: როდესაც გორკი დააპატიმრეს და პეტრეპავლეს ციხეში ჩასვეს, იტალიის დედაქალაქში გამართულ მიტინგებზე მოითხოვდნენ მის განთავისუფლებას, და რუსი მეფის ელჩი იტალიაში საიდუმლოდ ატყობინებდა მთავრობას — არ ღირს საქმის გაზვიადება და იტალიის ნდობის დაკარგვაო.

თავისი მწერლობის პირველ ხანებში, მუშათა კლასის ავანგარდთან და მის პარტიასთან მჭიდროდ დაკავშირების ხანამდე, გორკი განიცდიდა სტიქიური რომანტული პროტესტით ერთგვარ მოჯადოებას. თავის ხეტიალში მშრომელთა დეკლასირებულ, ბოსიაკურ, ლუმპენპროლეტარულ ფენათა შორის იგი გაიტაცა ღამის გასათევ სახლების და ზღვის სანაპირო ქალაქების მანფრედების კოლორიტულმა ფიგურებმა, რომელთაც ცა ქუდად ეხურათ და დედამიწა ქალამნად. მკითხველები კარგა ხანს ვერ გამორკვეულიყვნენ გორკის გმირთა მოჯადოებისაგან. მათ დიდი ხნით შესცვალეს ტრადიციული ინტელიგენტის ტიპი რუსეთის მწერლობაში. თვით მწერალი მათში ხედავდა ქვეყნის განახლების იმედს.

მაგრამ იგი დიდხანს არ შერჩენია ასეთ სოციალურ ილუზიას. ეს ილუზია მალე შეიცვალა მეორე ილუზიით. ახლა ჯერი მიდგა ინტელიგენციაზე და მის როლზე ქვეყნის ცხოვრებაში. ახლა მწერალმა ინტელიგენცია დასახა „მარილად ამა ქვეყნისა“ და მის მხსნელად. ეს ხომ ძველთა-ძველი მრწამსი იყო რუსეთის ინტელიგენციისა დეკაბრისტებიდან ნაროდნიკებამდე. ხალხი, უმრავლესობა უვიცი ბრბოა, მას არ შესწევს ძალა და შეგნება მოსპოს საზოგადოებრივი ბოროტება, ქვეყანას „იხსნის“ რჩეულები, მცოდნეები, ინტელიგენცია.

მაგრამ გორკი თანდათან ერკვევა ამ ბურუსიდანაც. იგი ამბობს მსგავსი თავისი განწყობილების შესახებ: „ინტელიგენციის როგორც გონიერი საწყისის ხალხური სტიქიიდან სულიერი მოწყვეტის მოუსვენარი გრძნობა არ მტოვებდა და მეტი თუ ნაკლები ძალით ნიადაგ თან •მდევდაო“.

ბოლშევიკურ პარტიასა და მის გენიალურ ბელად **ვ. ი. ლენინთან** დაახლოვებამ, მუშათა მოძრაობის ისეთ კერასთან და პროლეტარიატის ისეთ რაზმთან დაახლოვებამ, როგორიც იყო მაშინდელი ნიჟნინოვგოროდის მუშები, სავსებით გარდაქმნა გორკი, მან დაინახა, რომ ინტელიგენცია არის ბურჟუაზიული კლასის პირმშო, რომ იგი ბოლოსდაბოლოს აუცილებლად მის მომსახურეობაშია და, უკეთეს შემთხვევაში, წარმოადგენს სხვადასხვა სოციალურ ფენათა „იდეების პარლამენტს“. მწერალმა დაინახა, რომ იგი შეიძლება იყოს მხოლოდ თანამგზავრი მთავარი, გადამწყვეტი, წინამძღოლი ძალისა, რომელიც მოდის მუშათა კლასის სახით.

ეს იყო გორკის მეორე დაბადება. მან გახადა თავის გმირებს მოჩვენებითი, ბრჭყვიალა, რომანტიული სამოსელი და გამოემშვიდობა მათ. მან დაინახა, რომ ინტელიგენციაც ისევე მიწას ეკვრის, როგორც მთელი „სრულიად რუსეთის მეშჩანობა“.

პიესა „მეშჩანებში“ მუშა ნილი უკვე თამამად აცხადებს: „ასეთ წესწყობილებას მე ვგმობ და არ მინდა. ისიც ვიცი, რომ დევგმირი არა ვარ, მაგრამ მაინც ვამბობ: არა უშავს, მაინც ჩვენი გავა“.

შემდეგ, გორკი ჰქმნის მთელ მსოფლიო მუშათა კლასში ცნობილ და საყვარელ ნაწარმოებს, თავის შესანიშნავ „დედას“. აქ მწერალმა დააგროვა მთელი მუშათა მოძრაობის გამოცდილება, მისი ბრძოლის საუკეთესო მონაპოვარი, სოლიდარობის და სიმტკიცის შეკუმშული და უტეხი ძალა. ეს იყო პროლეტარიატის ბრძოლების დუღილიდან, მისი საუკეთესო და სანუკვარი იმედებიდან აღმოცენებული პირველი პოლიტიკური პროლეტარული რომანი რუსეთის მწერლობაში. ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთ?“ და სტეპნიაკის „ანდრეი კოჟუხოვი“ გამოხატავდენ ნაროდნიკული ინტელიგენციის იმედებს გლეხურ რევოლუციებზე. გორკის „დედა“-ში კი მთავარი მებრძოლია სამრეწველო პროლეტარიატი, მისი წინამძღოლი — ბოლშევიკური პარტია. იგი რაზმავს გლეხობის ჩაგრულ ფენას.

რუსეთის მუშათა მოძრაობის გამომხატველი ისეთი დიდი ტილო, როგორიცაა „დედა“ არ შეიცავს არც ერთ ელემენტს, რომელიც არ ემყარებოდეს რუსულ სინამდვილეს და იმავე დროს, ეს ადგილობრივი თავისებურობის და კოლორიტის მქონე ნაწარმოები, თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია საერთაშორისო შინაარსით. იგი უპასუხებს ძალაუფლებისათვის მებრძოლ მუშათა კლასის განწყობილებას ყველა ქვეყანაში. პაშა ლასოვის სიტყვა სასამართლოში მოგვაგონებს ლეიპციგის პროცესზე გიორგი დიმიტროვის ლომისებურ ბრძოლას. ვლასოვი, ისევე როგორც დიმიტროვი, ბრალდებულიდან ბრალმდებლად იქცევა და პროლეტარული ბრძოლის და შეგნების უმაღლეს ხარისხს გამოხატავს.

**ვ. ი. ლენინი** დიდათ აფასებდა გორკის. მისდამი მიწერილ წერილში დიდი ბელადი სწერდა 1909 წ.

„თქვენი მხატვრული ნიჭით თქვენ მოუტანეთ იმდენი სარგებლობა, და მოუტანთ კიდევ უფრო მეტ სარგებლობას, მუშათა მოძრაობას რუსეთში და არა მარტო რუსეთში“

თავის ეპიურ ნაწარმოებებში გორკიმ გადაშალა რუსეთის მონუმენტალური სურათი ბატონყმობის მოსპობის შემდეგი დროიდან ოქტომბრის ეპოქამდე.

„ბავშობა“, „ხალხში“, „ახსარება“, „ზაფხული“, „დედა“, „მათე კოჟემიაკინი“, „ქალაქი ოკუროვი“, „ჩემი უნივერსიტეტები“, „დღიურიდან“ „არტამანოვების საქმე“, „კლიმ სამგინი“ — აი არა სრული ჩამოთვლა იმ დიდი მხატრულ-სოციალურ მემკვიდრეობისა, რომელიც თავისი მნიშვნელობით უდრის რომელსაც გნებავთ ევროპულ ან რუს კლასიკოსის მემკვიდრეობას.

ყველგან და ყოველთვის, გმირული შრომით, ღვაწლით, და გენიით შთაგონებულ ამ ტიტანურ ნამუშევარში, რომელსაც დიდმა მწერალმა თითქმის ნახევარი საუკუნის სიცოცხლე შეალია, ჩვენ თვალწინ დგას ცხოვრებისადმი, ადამიანისადმი და მის ყოვლის შემძლებელ შრომისა და ბრძოლისადმი შეყვარებული ვაჟკაცი, დიდი სიბრძნის და დაულეველი ოპტიმიზმის მომცემი ჰუმანისტი.

გორკი ამობრწყინდა მუშათა კლასის გარიჟრაჟზე, მოჰყვებოდა მას სამი რევოლუციის მანძილზე. მან მისცა მუშათა კლასს ბრძოლის იმედის, გამარჯვების და სიხარულის წიგნები, რომელთაც არ მიჰკარებიათ სიბერე და დავიწყება.

გორკი მოჰყვა გამარჯვებულ მუშათა კლასს სოციალისტური ეპოქის მეორე ათეული წლის მიჯნამდე და სულის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლა მასთან ერთად.

იგი იყო არა მარტო კაბინეტის მწერალი, იგი იყო საერთაშორისო პროლეტარიატის ტრიბუნი. მისმა მსოფლიო ავტორიტეტმა პროლეტარიატის პოზიციებისაკენ შემოაბრუნა არა ერთი მოაზროვნე და მწერალი.

განუსაზღვრელი სიყვარულით და მუდამ გაკვირვების და მოწიწების გამომწვევი გრძნობით შესცქეროდენ გორკის, როგორც დიადი რუსეთის ხალხის მწერლობის წარმომადგენლები, ისე საბჭოთა კავშირის ხალხთა ყველა მწერლები.

რეაქციის შავბნელი დღეების დროის მისი ზრუნვა უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის, საქართველოს და სხვ. მწერლობაზე ჭეშმარიტად მოწმობდა, რომ ის იყო განთავისუფლებული ხალხების ლიტერატურის, საუკეთესო მათი მონაპოვარის მზრუნველი, დიდი მეგობარი და მოყვარული.

დღეს ამ ჭეშმარიტად ზღაპრული ცხოვრების და მოღვაწეობის რკალი შეიკრა.

გორკი, ჩვენი დიადი ეპოქის **ლენინ-სტალინის** ეპოქის დიდ[illegible] მებრძოლი მწერალთა-მწერალი[illegible] მწერალთა აღმზრდელი, თანამედ[illegible]როვე კაცობრიობის საუკეთეს[illegible] წარმომადგენელთა მეგობარი, ფა[illegible]შიზმის დაუძინებელი მტერი [illegible] ერთერთი უდიდესი ადამიანი ჩვე[illegible]ნი დროისა დღეს მიებარე[illegible] კრემლის სახელოვან კედელს, მი[illegible] დიად თანამედროვესა და მას[illegible] წავლებელ დიდ **ლენინთან** ახლო[illegible]

მაგრამ დღესვე იწყებს სიცოც[illegible]ხლეს გორკი — პროლეტარიატი[illegible] კლასიკოსი, მის საუკეთესო მის[illegible] წრაფებათა მესაიდუმლე, ის, ვინ[illegible] მისცა მუშათა კლასს „დედა“.

ბევრ გამარჯვებებს მოიპოვე[illegible] საბჭოთა კავშირის და საერთაშ[illegible]რისო პროლეტარიატი. ბრძოლ[illegible]ბით და თავგანწირვით იგი აღგვ[illegible] პირიდან დედამიწისა ძველი ქვეყნ[illegible] ჭუჭყს და მივა კომუნიზმის ბჭესთა[illegible]

მაგრამ ბრძოლების გამარჯვებ[illegible] დროს, თავის ძლევამოსილ გზაზ[illegible] ყოველთვის როცა იგი გაიხედა[illegible] უკან — სოციალისტური საზოგ[illegible]დოების შექმნის ეპოქის სათავესთა[illegible] ორი დიადი ეპოქის მიჯნაზე, ი[illegible] დაინახავს გორკის ბუმბერ[illegible] ფიგურას და მადლიერი გრძნობ[illegible] შეაჩერებს მასზე თვალს.



# მ ა ქ ს ი მ  გ ო რ კ ი



## მ. გორკის ცხოვრების და შემოქმედების უკანასკნელი პერიოდი

სსრ კავშირის დიდი პროლეტარული რევოლუცია ა. მ. გორკიმ ერთბაშად როდი მიიღო. მაგრამ უკვე 1918 წლის მეორე ნახევრიდან იგი აქტიურად ებმება ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის კულტურულ მშენებლობაში. 1921 წელს ლენინის დაჟინებით მოთხოვნით ა. მ. გორკი სამკურნალოდ გაემგზავრა საზღვარგარეთ, სადაც 1928 წლამდე დაჰყო. ამ პერიოდში ახალ მხატვრულ ნაწარმოებთა („ჩემი უნივერსიტეტები“, „არტამონოვების საქმე“ და „კლიმ სამგინის ცხოვრება“) შექმნასთან ერთად ა. მ. გორკიმ გადასინჯა რევოლუციის ბევრი თავისი შეფასება და გამოვიდა საზღვარგარეთულ პრესაში ემიგრანტთა მხრივ საბჭოთა კავშირის მისამართ „საზიზღარი ცილისწამების“ წინააღმდეგ.

ა. მ. გორკი 1928 წელს, თავისი დაბადების 60 წლისთავზე, ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, სადაც, როგორც ნამდვილი მებრძოლი რევოლუციონერი, როგორც პროლეტარიატის დიდი მწერალი, თავისი უდიდესი ნიჭის მთელი ძალით მგზნებარედ ეწევა სოციალისტურ მშენებლობაში. მისი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ეს პერიოდი აღინიშნა არა მარტო დიდ დრამატიულ ნაწარმოებთა „ეგორ ბულიჩევი“, „დოსტიგაევი და სხვები“,— შექმნით, არამედ მრავალრიცხოვანი ბრწყინვალე პუბლიცისტური გამოსვლებითაც, რომელთა თვითეული სიტყვა გაისმის, როგორც სიტყვა მსოფლიო მქადაგებლისა საბჭოთა კავშირის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის. თავისი შესანიშნავი ცხოვრების მთელი შემდგომი წლები ა. მ. გორკიმ გაცხოველებულ და მრავალფეროვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას მოახმარა. საბჭოების მეხუთე საკავშირო ყრილობაზე იგი აირჩიეს სსრ კავშირის ცაკის წევრად. ა. მ. გორკი, როგორც სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ბევრ დროს და ძალას ახმარდა ჩვენი დიდი ეპოქის შესაფერი საბჭოთა ლიტერატურის შექმნის საქმეს. მას ეკუთვნის ინიციატივა „სამოქალაქო ომის ისტორიის“ და „ფაბრიკებისა და ქარხნების ისტორიის“ შექმნისა, რომელთა ფურცლებზედაც აღბეჭდილი იქნება ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის და ყველა მშრომელის ცხოვრება და გმირული ბრძოლა თავისი განთავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის.

„ამხანაგმა გორკიმ,—სწერდა ვ. ი. ლენინი 1909 წელს,—თავისი დიადი მხატვრული ნაწარმოებებით მტკიცედ დაუკავშირა თავისი თავი რუსეთის და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობას“. რევოლუციურ პროლეტარიატთან და მის ავანგარდთან—ბოლშევიკურ პარტიასთან— ამ მჭიდრო კავშირის მეოხებით, ა. მ. გორკი პოულობს ახალ ძალებს და ახალგაზრდული აღფრთოვანებით გამოდის ომის მზარდი საფრთხის წინააღმდეგ, მრისხანედ ამხილებს ომის გამჩაღებლებს, ნიღაბს ხდის მტრებს და აშიშვლებს ფაშიზმის ნამდვილ სახეს. როცა 1932 წელს ჰოლანდიის მთავრობამ არ გაუშვა ა. გორკი ომის საწინააღმდეგო კონგრესზე ამსტერდამში, მან შესძლო ამ დაბრკოლების გადალახვა. მისმა მოწოდებამ მიაღწია ყველა იმათ ყურამდე, ვისაც სძულს ომი. ომის საწინააღმდეგო კონგრესზე წარმოუთქმელი თავისი სიტყვა გორკიმ დაამთავრა მოწოდებით მთელი მსოფლიო პროლეტარიატისა და ინტელიგენციისადმი— არ დაზოგონ მთელი ძალღონე, მთელი თავიანთი ძლიერება, რათა მოაწყონ უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, რომელიც ანგრევს ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკთა საუკუნეობრივი მეცადინეობით შექმნილ კულტურას“. ასეთივე მხურვალე მოწოდებით მიმართავდა იგი 1935 წელს კულტურის დაცვის მწერალთა საერთაშორისო კონგრესსაც, რომელზედაც პარიზში გაისმოდა კულტურის ბევრი გამოჩენილი მოღვაწის ენერგიული გამოსვლები.

„მაქსიმ გორკის სახელი,—სწერდა თავის მისალმებაში საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი დიდი პროლეტარული მწერლის ლიტერატურული და რევოლუციურ-საპარტიო მოღვაწეობის 40 წლისთავზე,— ძვირფასი და ახლობელია საბჭოთა ქვეყნის მშრომელებისათვის და შორს მის ფარგლებს გადაღმაც, როგორც უდიდესი მხატვრის—ცარიზმის, კაპიტალიზმის წინააღმდეგ, საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციისათვის, კაპიტალიზმის უღლიდან ყველა ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლებისათვის მებრძოლი რევოლუციონერის სახელი“.

ჯავისი კლასის სახელოვანმა მებრძოლმა ა. მ. გორკიმ თავისი ცხოვრება და შემოქმედება შესწირა „ყველა მშრომელის სასიხარულოდ, მუშათა კლასის მტრების თავზარდასაცემად“ (სტალინი). უდიდესი მხატვარი—რეალისტი, მგზნებარე რევოლუციონერი ა. მ. გორკი თავისი ტალანტის მთელი ძალით მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე განამტკიცებდა ადამიანის, როგორც დედამიწაზე ყველაზე ლამაზი და საუცხოო მოვლენის, უმაღლეს მოწოდებას. კრებულ „ფარის“ ერთერთ სტატიაში იგი სწერდა:

„მანამ, ვიდრე ჩვენ არ ვისწავლით პატივი ვცეთ ადამიანს, როგორც ჩვენი პლანეტის ყველაზე ლამაზ და საუცხოო მოვლენას, მანამდე ჩვენ ვერ გავთავისუფლდებით ჩვენი ცხოვრების სისაძაგლისა და სიცრუისაგან. ამ რწმენით დავიწყე მე ცხოვრება, ამ რწმენითვე მოვკვდები და სიკვდილის წინ მექნება მტკიცე რწმენა, რომ ოდესღაც მსოფლიო აღიარებს: ადამიანი—წმინდათა წმინდაა“.

დიდი მწერლის ეს მტკიცება უკვე განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში, სადაც ახლა დაიწყო უმშვენიერესი ეპოქის აყვავება, სადაც საქმით ხორციელდება მშრომელი კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელთა ყველაზე გაბედული ოცნებანი. ა. მ. გორკის უდიდესი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაცული იქნება უკლასო სოციალისტური საზოგადოების კულტურის საგანძურში, ამ საზოგადოების, რომელსაც ჰქმნიან მილიონები სოციალიზმის გენიალური ხუროთმოძღვრის — ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

**არ უნდა დავივიწყოთ სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთელ სივრცეზე სწრაფად ვითარდება მშრომელ ხალხთა მთელი მასების აღორძინების პროცესი მათი მისწრაფება პატიოსანი ადამიანური ცხოვრებისადმი ახალი ცხოვრების თავისუფალი შემოქმედებისაკენ სოციალისტური კულტურის შემოქმედებისაკენ.**

**მაქსიმ გორკი**

## ეპოპეადან „კლიმ სამგინის ცხოვრება“

### ს ი ს ხ ლ ი ა ნ ი  კ ვ ი რ ა

...სამგინმა საბოლოოდ იგრძნო თავი დიდ ისტორიულ მონაწილედ — სწორედ მონაწილედ და არა მოწმედ — იმ სცენის შემდეგ, რომელიც მოულოდნელად დვორიანსკი ქუჩის შესავალთან გათამაშდა. საიდანღაც კუთხიდან ბრბოს ძირითად მასას შეერია მცირე ჯგუფი,—ასიოდე ახალგაზრდა; მათ მოუძღოდათ სახეგამხდარი ქერაწვერიანი მამაკაცი და ღარიბულად ჩაცმული ქალი, რომელიც მასწავლებელს ჩამოჰგავდა. ქერაწვერიანი წელში გასწორდა, თითქო ამაღლდა კიდეც, და უეცრად მოკლე ჯოხზე მიკრული წითელი დროშაააფრიალა.

— ვაშა!—ხმაშეუწყვეტლად გასძახა რამდენიმემ და შემდეგ დანარჩენებმაც არეულად წამოიძახეს:

—გაუმარჯოს სოციალდემოკრატიულ პარტიას! ვაშა! ამხანაგებო, ვაშა!

ბრბო შეკრთა, შეჩერდა და ეს შეძახილებიც იმავე წუთში შთანთქა ასეულების წყრომის ხმამ:

— გასწი, დაიკარგე შენი დროშიანად!

— ჰეი, შენ, დამალე!

— ძმებო, ნება არ მისცეთ!

— ხომ უთხრეს მაგ ეშმაკის თავებს—არ გაებედნათ!

განსაკუთრებით ხმაურობდნენ შეშფოთებული ქალები. სამგინი მიაგდეს იმ ადგილას, სადაც ჩოჩქოლი იყო. ის მოხვდა ძალიან ახლო იმ კაცისაგან, რომელსაც დროშა ეკავა. დროშა თავსაფარის ოდენა იყო, ძალიან წითელი და ფარფატებდა ჰაერში, თითქო სცდილობდა მოჰგლეჯოდა ჯოხს. სამგინი დარწმუნებული იყო, რომ ამ მამაკაცს დროშას წაართმევდნენ და სცემდნენ კიდეც. მაღალი, წითურა კაცი, რომელიც გადაცმულ ჯარისკაცს ჰგავდა, სწვდა ხელში მედროშეს და უთხრა:

— დამალეთ, ამხანაგო!..

— საჭირო არაა! — სთქვა კიდევ ვიღაცამ, ხოლო მესამე ხმამ დაუდასტურა:

— არაფერი არ გამოვა ამხანაგო ანტონ.

მამაკაცი, რომელიც სახით დიაკვანს ჩამოგავდა, თეთრ ცხვირსახოცს აფრიალებდა და ყვიროდა:

— ეს პოლიციის ოინებია! ვიცით!

დროშა გაქრა. ის ჩამოგლიჯა და პალტოს უბეში შეინახა გადაცმულ ჯარისკაცის მსგავსმა მამაკაცმა. ბრბოში მიიმალა ისიც. ვინც დროშა ამართა, ხოლო შემზარავი გარეგნობის ცეცხლფარეშმა ილიამ მისწია ხალხი, სამგინს ხელი ჰკრა ღონივრად, წადგა წინ და დაიღრიალა:

— ძმებო, დროშები საჭირო არაა! ასეთ საქმეზე კი არ მივდივართ. სხვაგვარი საქმეა. გაიგეთ?

...როცა ტროიცკის მოედანზე გავიდნენ, წინ მიმავალნი, თითქოს რაღაცას მიეხალნენ, შეჩერდნენ და აგუგუნდნენ; სამგინის გარშემო ერთმანეთს ახტებოდნენ, ერთიმეორეს მხრებზე ებჯინებოდნენ და წინ იცქირებოდნენ:

— შეჩერდით ძმებო!

მრავალჯერ და მრავალხმიანად, გაკვირვებით, შიშით, წყრომით და დაცინვით გაისმა ერთიდაიგივე სიტყვა:

— არ გვიშვებენ?

ზოგმა მუშამ ნაბიჯი შეანელა, უკან დაიხია; დანარჩენებმა გაბედულად გასწიეს და თან იძახდნენ:

— რას გაჩერებულხართ? ვინაა იქ? ჩვენებია, — გასწით!

სამგინმა, რომელიც ბრბოს ჩოჩქოლმა რამდენიმეჯერ შეატრიალა, დაინახა, რომ წინა რიგებში მოხვედრილიყო. ღობესთან იდგა და ორმოცდაათი ნაბიჯის სიშორეზე ჯარისკაცებს ხედავდა. ისინი იცავდნენ ხიდის შესავალს, ამართულიყვნენ კედლად, როგორც მდინარის ნაპირის გრანიტი; ჯარისკაცთა თავები, თეთრი ზოლით შუბლზე, ერთნაირად ჩამოთლილი იყო, ხოლო თავებს შუა ხიშტების გრძელი ლურსმნები სჩანდნენ. პირით ჯარისკაცებისკენ იდგა ოფიცერი--ზურგი ჯვარედინი ღვედებით შეკრული აქვს — აქნევდა შიშველი ხმლის მოლურჯო ფოლადს, ულერდა მას მეფის საზამთრო სასახლეს და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქო სურდა ჯარისკაცებზე გადამხტარიყო. მეორე ოფიცერი, შავწვერა, თეთრ ხელთათმანებიანი, სამგინისკენ იცქირებოდა, პაპიროსს ცეცხლს უკიდებდა, — ელავდა ასანთი და თვალებს უნათებდა. სამგინი ხედავდა, რომ მუშები ნელა მიიწევდნენ ჯარისკაცებისაკენ, ესმოდა ასეულის მღელვარე ხმა და მათ შორის ცეცხლფარეშის საყვირის მსგავსი ძლიერი ხმა:

— შეჩერდით, დაიცადეთ! მე მივალ, მე ავუხსნი მათ! დედაკაცებო,—თავსაფარი! თეთრი! ეგორ ივანიჩ, წამოდი, — შენ მოხუცი ხარ! ახლავე, ძმებო, ჩვენ ავუხსნით! ისინი შეცდომაში შეიყვანეს! თავსაფარი, თავსაფარი ააფრიალე, ეგორ...

ცეცხლფარეშმა თავისი ვეება ტანი მკვირცხლად შეატრიალა ჯარისკაცებისკენ, ააფრიალა თავსაფარი და დაიძახა:

— ჰეი, თქვენო აღმატებულებავ!..

მუშებმა ხუთიოდე ნაბიჯით წინ გაუშვეს ილია და შემდეგ მოხუცის წინამძღოლობით, შემჭიდროებული რიგებით გაჰყვენ მას. ცეცხლფარეში გაბედულად მიაბიჯებდა: პატარა თეთრი, თავსაფარი გაუსხლტა ხელიდან და მის მაგიერ ქუდი ააფრიალა; მოხუცი ჩქარა მიდიოდა, მაგრამ კოჭლობდა და ცეცხლფარეშს ვერ ეწეოდა. მაშინ ათმა მუშამ მოხუცი ჩამოიტოვა, გაუსწრო და წინ გასწია საჩქაროდ. ჯარისკაცების კედელი შეირყა, ხიშტების სავარცხელმა იელვა, შემდეგ გაქრა; გაისმა ძლივს გასაგონი ტკაცუნი, შემდეგ კიდევ და კიდევ. სამგინი შიშს არ გრძნობდა, როცა თავზე ტყვიამ ზუზუნით გადაუარა; გაიზუზუნა. მეორემ, გააპო ღობეზე ფიცარი, მოგლიჯა ნაფოტი, და ერთი იმ სამთაგანი, რომელნიც სამგინის წინ იდგა, მიწაზე დაეშვა. შიშმა გააბრუა სამგინი, როცა ჯარისკაცებმა თოფები დაუშვეს, ხოლო მუშებმა უკანდახევა იწყეს აუჩქარებლად, ჩოქვით და როცა ქალმა გულშემზარავად დაჰკივლა:

— ისვრიან, არამზადები! ჰოი, შეხედეთ!

— შესაშინებლად! — უპასუხა რამდენიმე ხმამ ბრბოდან — შესაშინებლად!

ცეცხლფარეში შეჩერდა, მაგრამ მანძილი მისსა და მუშებს შორის იზრდებოდა! ის იდგა მოკრივეს პოზაში, თითქო მოწინააღმდეგეს ელის — მარცხენა ხელი მკერდზე მიეკრა, მარჯვენა კი, რომელშიაც ქუდი ეკავა, ამართული ჰქონდა. მაგრამ უცბად ხელი დაუცურდა, შეირყა თითონაც, გადასდგა ნაბიჯი და მკერდით დავარდა თოვლზე, დაეცა ისე, რომ არ მოხრილა, ფიცარივით, და მაშინ, წამოსწია რა თავი, ქუდით თოვლი მოხვეტა, არაადამიანური ხმით იღრიალა, გასჭიმა ფეხები და სახე თოვლში ჩაეფლო.

...აუჩქარებლად უკან იხევდა მუშების მასა; უკან წავიდნენ ნახევრად ზურგშექცეული, თითქო მხარულით, ჯარისკაცებს მუშტებით ემუქრებოდნენ, ზოგიერთის ხელში ჯერ კიდევ ფრიალებდა თეთრი თავსაფარი; ბრბო ირღვეოდა, ცალკეული სხეულები შორდებოდნენ, გარბოდნენ, მიწაზე ეცემოდნენ და იკრუნჩხებოდნენ, მიხოხავდნენ, მრავალი კი თოვლზე წვებოდა უიმედოდ გართხმული. ასე უიმედოდ დაწვა ქურქიანი მაღალი კაცი, რომელიც ძალიან ჩამოგავდა დიაკვანს, დაწვა და საიდანღაც ქურქის საყელოდან გადმოიღვარა სისხლი და თავის ერთ მხარეზე თოვლი შეღება. სამგინმა დაინახა როგორ აორთქლდა ცხელი სისხლი. ღობესთან მოფოფხდა მამაკაცი მწვანე შარფით ყელზე —მოფოფხავდა და ფეხს ძლივს მოათრევდა. ტანმორჩილი დედაკაცი იჯდა მიწაზე, ცდილობდა გაეძრო ფეხზე შავი ბოტი, მაგრამ უეცრად თითქო კეფაში ჩაჰკრესო, ჩარგო თავი მუხლებში, გაშალა ხელები და ჩაიკეცა. ტუჩმოკუმა, რომელსაც პალტო გახსნილი ჰქონდა, ღობესთან მიიყვანა შავულვაშიანი ახალგაზრდა; ის ძლივს მოაბიჯებდა. თვალები მაგრად დახუჭვოდა და კბილები დაეკრიჭა. ჰაერი გაჟღენთილიყო ქალების სასოწარკვეთილი ხმებით, ბრაზმოსული გინებით; ვიღაც ბრძანების კილოთი გასძახოდა:

— ბირჟის ხიდისკენ!

— არამზადებო! მკვლელებო!

სამგინს მოეჩვენა, რომ ბრბო ისევ მიიწევდა ჯარისკაცებისაკენ და მიიწევდა არა იმიტომ, რომ დაჭრილები აეკრიფა; მრავალი გარბოდა წინ, უახლოვდებოდა ჯარისკაცებს იმისათვის, რომ შეეგინებინა მათთვის. მოკლექურქიან ქალს აეწია კაბა, უჩვენებდა ჯარისკაცებს წითელ იუბკას და თუნუქისმაგვარი ხმით გასძახოდა:

— მესროლეთ, ჰე—მესროლეთ!

თარგმანი **სერგო კლდიაშვილის.**

### გ ო რ კ ი ს  წ ი გ ნ ე ბ ი  ქ ა რ თ უ ლ ა დ









**საბჭოთა ლიტერატურა არ წარმოადგენს მხოლოდ რუსული ენის ლიტერატურას. იგი სრულიად საკავშირო ლიტერატურაა... მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურები ცოცხლობენ და მუშაობენ იმ იდეების სხივებით გაცისკროვნებული და იმ იდეების ცხოველყოფელი გავლენით, რომლებიც აერთიანებენ კაპიტალიზმისაგან დაქუცმაცებულ მშრომელთა სამყაროს.**

**მაქსიმ გორკი**




მ. გ ო რ კ ი ს ნარკვევის „საჩივარის“ გარეკანი, რომელსაც სამხედრო ცენზორის მიერ წარწერილი აქვს რეზოლუცია „მოთხრობა დასაბეჭდად არ შეიძლება ნებადართული იქნეს“.

## მ. გორკი და მეფის ცენზურა

### პლატონ კეშელავა

მსოფლიო ლიტერატურამ არ იცის მეორე მაგალითი, რომ მწერალი ერთსა და იმავე დროს დევნილიც იყოს და გამარჯვებასაც ზეიმობდეს. ამის მაგალითს მხოლოდ გორკი იძლევა.

გორკიმ იცოდა, რომ „კაცის გზას არ აქვს საზღვარი“, რომ „დაუცხრომელი ადამიანი სულ წინ მიიწევს, მიიწევს მაღლა“, Не по росту порядочных людей сделана жизнь“ და საშინელებით სავსე სურათები გადაშალა, თავზარი დასცა მეფის მოხელეებს, რომლებიც გორკის პიესების წარმოდგენის დროს ისტერიულად გაჰკიოდნენ:

„კმარა ეს საშინელება, კმარა ეს არაადამიანური, საშინელი სურათები! ფარდა დაუშვით, ფარდა!“ ასეთ აღშფოთებამდე მიჰყავდა მტრები გორკის შემოქმედების იმ ნაწილს, რომელიც ცენზურას გადაურჩა. ცენზურა კი განსაკუთრებული გაბოროტებით ჩხრიდა და ცხრილავდა გორკის ნაწერებს.

გორკი ყოველ საქმიანობაში დაუცხრომელი იყო, ამიტომ იგი იმ თავითვე მოხვდა მეფის „ოხრანკის“ და ცენზურის ყურადღების ცენტრში. მისი ნაწერები ყოველთვის ცენზურის მიერ დაცხრილული ქვეყნდებოდა. რევოლუციის შემდეგ არქივში დაცულ მასალების საშუალებით შესაძლებელი გახდა გორკის შემოქმედების დაუმახინჯებლად ნამდვილი სახით აღდგენა და გამოაშკარავდა, თუ რა უხეშად ამახინჯებდა ცენზურა მის ნაწერებს, თუ რა მახვილი იდეების გამოხატვას ბედავდა ეს დაუცხრომელი მწერალი.

გორკის ნაწერებიდან ცენზურა ყოველთვის ძირითად იდეასთან დაკავშირებული სურათების და სტრიქონების ამოღებას ცდილობდა, ყოველთვის მაშინდელი რუსეთის მახინჯი ცხოვრებისაკენ მიმართული პროტესტი ხვდებოდა თვალში.

მაგალითად, პიესა „მეშჩანები“-დან სხვა ადგილებთან ერთად ამოშლილია: „Хозяин тот, кто трудится“ (მეორე აქტი).

მეოთხე აქტიდან ამოღებულია ტეტერევის შემდეგი სიტყვები:

„ერთ რამეში ვერ ვხედავ ვერაფერს სასიამოვნოს, სახელდობრ, იმაში, რომ ჩემზე და სხვა პატიოსან ადამიანებზედაც ბრძანებლობენ ღორები, სულელები, ქურდები... მაგრამ ცხოვრება ხ[illegible] ძათ არ შერჩებათ, ისინი წავლ[illegible], გაქრებიან ისე, როგორც ქრება იარები ადამიანის საღ სხეულზე“.

კიდევ:

„რუსეთში უფრო კარგად და მშვიდობიანად ცხოვრობენ ლოთები, მაწანწალები, ვიდრე ფხიზელი, პატიოსანი, საქმიანი ადამიანები. მხოლოდ მოუდრეკავად პირდაპირი, მახვილივით მაგარი და შეუპოვარი ადამიანები გაჰკაფავენ გზას“.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სიპიაგინმა ცენზურის მიერ ნებადართული პიესის „მეშჩანები“-ს წარმოდგენა აკრძალა. ბოლოს სამხატვრო თეატრის (ახლა გორკის სახელობის სახელმწიფო თეატრი) დირექციის დიდი ბრძოლის შემდეგ დართეს ნება და აი რა პირობებში: „გენერალურ რეპეტიციაზე“—სწერს კაჩალოვი—შეიკრიბა „მთელი მთავრობა“—დიდი მთავრები, მინისტრები, პოლიციის უფროსი მოხელენი, მათი ცოლები, ოჯახები და ნათესავები, თვითონ თეატრში და მის გარშემო განსაკუთრებული წესები იყო დამყარებული და პოლიციის გაძლიერებული ყურადღება, თეატრის წინ მოედანზე ჟანდარმერიის ცხენოსანთა რაზმები მიდი-მოდიოდნენ, თითქო გენერალური ბრძოლის საქმე ყოფილიყოს და არა პიესის გენერალური რეპეტიცია.

„პირველად — განაგრძობს კაჩალოვი—ნებართვა მხოლოდ საბონემენტო წარმოდგენისათვის მოგვცეს, რამაც ახლა დაუჯერებელი, მაგრამ მაშინდელი დროისთვის დამახასიათებელი მდგომარეობა შექმნა: ქალაქის პოლიციის უფროსმა, რომ თეატრში ხალხი უაბონემენტოდ ვერ შესულიყო, კაპელდინერების მაგიერ ბილეთების გასასინჯავად დააყენა პოლიციელები თეატრის კარებში. პოლიციელების დანახვამ დიდად შეაშინა ხალხი. შემდეგ თეატრის დირექციამ ძლივს მიიღო უფლება თეატრის კარებში კაპელდინერების დაყენებისა. მუნდირიანები წავიდნენ, მაგრამ ფრაკებში მორთული პოლიციელები თეატრის კარებს მაინც არ შორდებოდნენო“.

ასეთ გამძაფრებულ ბრძოლებში გორკი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ამ ბრძოლებიდან არის გამოტანილი გორკის ის იდეები და დიდი მემკვიდრეობა, რაც ლენინისა და სტალინის პარტიამ საბჭოთა კულტურის ძირითად ფონდში შეიტანა, და რაც ხდის გორკის საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთა საყვარელ მწერლად.

ნიკოლოზ მეორის პირადი განკარგულების თანახმად მაქსიმ გორკი ერთი ხაზის გასმით ამოშალეს აკადემიის წევრთა კანდიდატების სიიდან, მაგრამ მშრომელი ხალხის გულიდან მის ამოშლას მთელი ქვეყნის ჯალათები ვერ შესძლებენ.

პ.-მ. რედაქტორი **აკაკი თათარიშვილი**
პ.-მ. მდივანი **ნიკოლოზ ჩაჩავა**

გამომც. „ფედერაციის“ სტამბა პლეხანოვის პრ. 181. შეკვ. № 703. მთავლიტის რწმუნებული № 10397